06/03/2019

კანადის საპარლამენტო ცენტრის ხელმძღვანელის შეხვედრა საქართველოს საპატრიარქოში

ა.წ. 5 მარტს საქართველოს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო (მუჯირი) კანადის საპარლამენტო ცენტრის ხელმძღვანელს, ბ-ნ ჟან-პოლ რუზკოვსკის, კვლევითი და საპარტნიორო პროგრამების მიმართულების ხელმძღვანელს, ბ-ნ ივო ბალინოვს და საქართველოში კანადის ელჩს, ბ-ნი კრის კუტერს შეხვდა. მიღებას ესწრებოდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე) და საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების ხელმძღვანელი, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე).

საუბარი შეეხო საქართველოს და კანადას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს და გამოითქვა თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი. სტუმრებმა გამოხატეს მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით და დაინტერესდნენ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებითა და მდგომარეობით. აღინიშნა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურებს იშვიათად ეძლევათ შესვლისა და ღვთისმსახურების შესრულების შესაძლებლობა, რაც უნდა გამოსწორდეს.

შეხვედრის დასასრულს საქართველოს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ სტუმრებს ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და აქტიური თანამშრომლობის იმედი გამოთქვა.

http://patriarchate.ge/geo/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%9%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9C/